



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 ივნისი 2024



N 281/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში ქარის ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისათვის შპს „მაიჯიპიესის“ მიკრო ტურბინა-გენერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მაიჯიპიესის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში ქარის ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისათვის მიკრო ტურბინა-გენერატორის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქარის ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისთვის გათვალისწინებული მიკრო ტურბინა-გენერატორის მოწყობა დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში, შპს „მაიჯიპიესის“ საკუთრებაში არსებულ 2 300 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.03.23.437). საპროექტო ტერიტორიის ნაწილი დაფარულია ბეტონის საფარით და მასზე განთავსებულია კომპანიის კუთვნილი შენობა-ნაგებობები. საპროექტო მიკრო ტურბინა-გენერატორის განთავსების GPS კოორდინატებია: X-476889 Y-4641409. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყობა „Gaia-Wind“-ის წარმოების, 13,70 მეტრი სიმაღლის მქონე მიკრო ტურბინა-გენერატორი, რომლის კოშკის სიმაღლე შეადგენს 11 მეტრს, ხოლო როტორი აღჭურვილია 3 ერთეული, 2,70 მეტრი სიგრძის ფრთით. მითითებული მიკრო ტურბინა-გენერატორი უზრუნველყოფს წლის განმავლობაში 30.000 კვტ/სთ ელექტროენერჯის გამომუშავებას. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 221 მეტრით, ხოლო უშუალოდ ტურბინა-გენერატორის განთავსების ადგილიდან – 290 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების საწარმოო და არასაწარმოო ობიექტები, ხოლო დაახლოებით 430 მეტრში მდებარეობს ნატახტარის აეროდრომი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტურბინა-გენერატორის მოწყობის სამუშაოები იქნება მცირე მასშტაბის, შესრულდება ექსკავატორ-დამტვირთველის, ასევე, ამწე მანიპულატორის გამოყენებით და გაგრძელდება 5 დღის განმავლობაში. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებს კონსტრუქციების აწყობას, თხრილის მომზადებას და მასში ტურბინა-გენერატორის საყრდენის განთავსებას, რომელიც აღჭურვება დამიწების და მეხამრიდი სისტემებით. გამომუშავებული ელექტროენერჯია ჩართული იქნება 0,4 კვ ძაბვის უჯრედში, რისთვისაც საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში მოეწყობა შემნახველი სისტემა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი დანადგარი. სამშენებლო

სამუშაოებისათვის საჭირო მასალა ტერიტორიაზე შევა მზა სახით. სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება საპროექტო ტურბინა-გენერატორის სამონტაჟო სამუშაოებთან. ვინაიდან, აღნიშნული სამუშაოები იქნება მცირე მასშტაბის და გაგრძელდება მხოლოდ 5 დღის განმავლობაში, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო და შეწყდება სამუშაოების დასრულებისთანავე. აღსანიშნავია, რომ ტურბინა-გენერატორის ექსპლუატაციის ეტაპი, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ უკავშირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას, ხოლო რაც შეეხება ხმაურის გავრცელებას, ტურბინა-გენერატორის ოპერირების ეტაპზე, ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია როტორის გაშლილ ფრთებზე ქარის შეჯახებით (აეროდინამიკური ხმაური). დოკუმენტის მიხედვით, „Gaia-Wind“-ის წარმოების ტურბინა-გენერატორი ხასიათდება უმნიშვნელო ხმაურის დონით და საპროექტო მახასიათებლებიდან გამომდინარე, მორგებულია ურბანული ტიპის დასახლებებს. საპასპორტო მონაცემებით, მითითებული ტურბინა-გენერატორის ხმაურის დონე, ტურბინის განთავსების ადგილიდან 30 მეტრში შეადგენს 50 დბა-ს, 60 მეტრში – 45 დბა-ს, ხოლო 100 მეტრში – 40 დბა-ზე ნაკლებს. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო ტურბინა-გენერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირების შედეგები, რომლის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე ნულს ქვემოთაა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ტურბინა-გენერატორის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალური ნარჩენების ურნებში, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება ტურბინა-გენერატორის ექსპლუატაციის ეტაპს, ტექნიკური მომსახურების პროცესში ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში, მათი მართვა განხორციელდება ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია მარტივი გეოლოგიური პირობებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით საპროექტო არეალი მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. საკვლევ არეალში საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ ფიქსირდება და არც სამომავლოდ არის მოსალოდნელი მათი განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება საკვლევ არეალის გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევასთან და საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია ექცევა ნატახტრის აეროდრომის დაცვის არეში (შიდა ჰორიზონტალური ზედაპირის ფარგლებში). სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილების 23-ე მუხლის, მე-3 პუნქტის საფუძველზე, შეთანხმებას არ ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რომლის სიმაღლე, მიწის დონიდან არ აღემატება 15 მეტრს.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია და შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორნითოფაუნაზე და ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ ხვდება ფრინველთა სამიგრაციო დერეფნებში ან/და მის უშუალო სიახლოვეს. ტურბინა-გენერატორების განთავსება გათვალისწინებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ურბანულ გარემოში, რომელიც არ გამოირჩევა ფლორისტული და ფაუნისტური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. განსახილველ ტერიტორიაზე შესაძლებელია შეგვხვდეს ფაუნისტური გარემოს სინანტროპული სახეობები, რომელთა ცხოველქმედების ნირი, ადგილის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, თავსებადია ურბანულ გარემოსთან. საქმიანობის განხორციელების ადგილის, პროექტის მცირე მასშტაბის და საპროექტო ქარის ტურბინა-გენერატორის ტიპის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი პროფილის ობიექტ(ები) არ ფიქსირდება. შესაბამისად, ტურბინა-გენერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, მასშტაბის, ასევე, საპროექტო ტურბინა-გენერატორის ტიპის გათვალისწინებით, მისი მოწყობა-ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში ქარის ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისათვის შპს „მაიჯიპივის“ მიკრო ტურბინა-გენერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „მაიჯიპიესი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მაიჯიპიესს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაიჯიპიესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

